	▪ კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები ▪ მოსწავლეთა საშემსრულებლო დისციპლინის მონიტორინგის შედეგები ▪ სხვადასხვა საგნებში სწავლების გასაძლიერებლად სკოლაში არსებული წრეების და/ან ღონისძიებების მუშაობის ამსახველი მასალა; ▪ სპორტული და სხვა სახის ღონისძიებების მუშაობის ამსახველი მასალა; ▪ საგნობრივ კათედრებსა და კათედრებს შორის არსებული თანამშრომლობის ამსახველი მასალა; ▪ სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების გამოკითხვის მასალები. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის მიუხედავად, სკოლას არ აქვს შემუშავებული რამე ერთიანი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმებს, თუმცა წარმოდგენილი ცალკეული დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო გეგმის გაუმჯობესებაზე. ასევე ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო დირექტორის მოადგილის, რომელიც ასევე ხარისხის მართვის მენეჯერია, ანგარიში მონიტორინგთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს მხოლოდ მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების კითხვარების ანალიზს. თუმცა სკოლის მასალას აკლდა დინამიკაში გაანალიზება და მასწავლებლის საჭიროებების გათვალისწინებით პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა. სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით,სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დინამიკაში დააკვირდეს და განახორციელოსს მიწოდებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და მტკიცებულებების სახით აწარმოონ მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების ამსახველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	დოკუმენტაცია. შეიქმნას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების ერთიანი გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოები; • დირექტორის მოადგილის ანგარიში; • მასწავლებლებთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს ქალაქ მარტვილში, მშვიდობის ქუჩა №9-ში. საერთო ფართი-5199.00 კვ.მ. სკოლის ორსართულიანი შენობის საერთო ფართია 2461, 85 კვ.მ. ეზოში ასევე დგას საქვაბე 63.72 კვ.მ. სკოლას ეზო და შენობა იჯარით აქვს აღებული კერძო პირისაგან, ხელშეკრულება დადებულია 2022 წლის 7 აპრილს 6 წლის ვადით. სკოლას აქვს ორი ეზო-წინა და უკანა. წინა ეზო გამწვანებულია ბაღით, ხოლო უკანა ეზოში 2 გასასვლელი კარი ამ ეტაპისათვის ჩაკეტილია.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი მარტვილი, მშვიდობის ქუჩა №9
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	№41.09.37.194
კვ.მ.	5199.00 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882022234465 07/04/2022 • იჯარის ხელშეკრულება ფიზიკურ პირსა და შპს სხივს შორის 2022 წლის 7 აპრილი
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აზომვითი ნახაზისა და დათვალიერების მიხედვით, ორსართულიან შენობაში არის 17 საკლასო ოთახი, 260 მოსწავლის ინდივიდუალური მერხითა და სკამით, მასწავლებლის მაგიდები და სკამები, დაფები, კარადები. ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია სათავსო ოთახით, კომპიუტერის ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, ოთახები დირექციისთვის, კანცელარია, სასადილო, დიდი სპორტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	დარბაზი, საიზოლაციო ოთახი, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი სცენით, დიდი დერეფნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • აზომვითი ნახაზი • 2016 წლის აუდიტის დასკვნა • სასკოლო ინვენტარის ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს დიდი სპორტული დარბაზი პირველ სართულზე, 570 კვ.მ. აივნით, მაყურებელთა დასაჯდომი სკამებით. სპორტდარბაზის მიმდებარედ მოწყობილია გასახდელები და საშხაპეები. დარბაზში არის საკალათბურთო ფარები, ფეხბურთის კარები, ბურთები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • 2016 წლის აუდიტის დასკვნა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მე-2 სართულზე მდებარეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია თავისი სათავსოთი, რომელსაც აქვს ბუნებრივი განიავების საშუალება. სათავსოში სველი წერტილია, აქვეა კარადები, რომელშიც ინახება საბუნებისმეტყველო საგნებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, ნივთები, მულაჟები. ლაბორატორიის აღწერილობის მიხედვით, მასში 180 ერთეული ნივთია სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სასკოლო სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	საბუნებისმეტყველო საგნების-ქიმიისა და ბიოლოგიის-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ ლაბორატორიას სასწავლო თემების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შპს ლიმესთან დადებული ხელშეკრულება, ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტი, 2016 წლის 2 სექტემბერი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი, გაზი. სკოლა არის შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, სს ეპ ჯორჯია მიწოდებას, შპს სოკარ ჯორჯია გაზის აბონენტი. ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში, სკოლას აქვს გენერატორი. სკოლის შენობაში ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება და გათბობის საშუალებები; სკოლის შენობაში არის სველი წერტილები ორივე სართულზე: გოგონებისათვის, ვაჟებისა და პედაგოგებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • კომუნალური გადახდის ქვითრები • შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან, სს ეპ ჯორჯია მიწოდებასთან, შპს სოკარ ჯორჯია გაზთან დადებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა მდებარეობს პირველ სართულზე. ის წარმოადგენს 55 კვ. მ. ოთახს, სადაც განთავსებულია მაგიდები, სკამები, ღია თაროები სახელმძღვანელოებისათვის. ბიბლიოთეკაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული და აღრიცხული ლიტერატურა 691 ერთეული, ასევე ცალკე სარეგისტრაციო წიგნში აღრიცხულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის სახელმძღვანელო. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, ვაკანსია ბიბლიოთეკარის შესახებ განთავსებულია teacherjobs.ge-ზე (№44439). ამდენად ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკარის მუშაობის გადამოწმება. სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ბიბლიოთეკის რესურსებს გაკვეთილების შემდეგ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ • ვიზუალური დათვალიერება • teacherjobs.ge • მიღება-ჩაბარების აქტები გამომცემლობებისგან
შეფასება:ა	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობა ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისათვის. სკოლას დამზადებული აქვს მოძრავი რკინის პანდუსები, რომლებიც განკუთვნილია პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიბეებისათვის. ვიზიტის დროს პანდუსები მოხსნილი იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის (საყრდენებით) მოწყობილია პირველ სართულზე. სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სსსმ მოსწავლის სველი წერტილის კარი გაიღოს გარედან. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს კომპიუტერული ოთახი პირველ სართულზე. კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია მოსწავლეებისათვის განკუთვნილი 13 კომპიუტერით და ასევე 1 პრინტერით. ოთახში არის შესაბამისი რაოდენობის მაგიდები და სკამები. კომპიუტერები განლაგებულია ასევე დირექციის ოთახში, კანცელარიაში, ბიბლიოთეკაში, სკოლის ვებგვერდია: www.Skhvili2000.edupage.ge, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასკოლო ცხოვრების შესახებ და ასევე არის საკომუნიკაციო საშუალება. სკოლა სარგებლობს სილქნეტის ინტერნეტით. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ინფორმირებისა და კომუნიკაციის“ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი და სტანდარტი, მშობლებთან ინფორმაციის გაცვლის სტრატეგია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • აუდიტის დასკვნა • სკოლის ვებგვერდი • ,,ინფორმირებისა და კომუნიკაციის“ დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის მიზნით სკოლაში მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა-ორივე სართული აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სახანძრო კარადებით, რომლებშიც განთავსებულია სახანძრო ონკანი და ლულა, სახანძრო სახელო, სახანძრო თავაკები. სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია დეტექტორები. სკოლას ასევე ჰქონდა სახანძრო დაფა ცეცხლმაქრით, რომელიც ვიზიტის დროს იყო ჩამოხსნილი სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიძინოს ცეცხლმაქრები და დაამონტაჟოს საევაკუაციო გეგმების მიხედვით.
	• ვიზუალური დათვალიერება • დეტექტორებისა და სახანძრო კარადების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. გეგმაზე აღნიშნული იყო, რომ იგი დამზადებული იყო ინდმეწარმე გოჩა ხურცილავას მიერ, თუმცა საეჭვო იყო რამდენად უფლებამოსილი და კვალიფიციური პირია ინდმეწარმე. ვიზიტის პერიოდში, 5 აგვისტოს სკოლის დირექციამ მიმართა შპს იმერეთის სახანძრო დაცვას, დადო მასთან ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმის დამზადების, ცეცხლმაქრებისა და სტიკერების შეძენის თაობაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ შპს იმერეთის სახანძრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	დაცვამ შესყიდული საქონელი მიაწოდოს 10 კალენდარულ დღეში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ინდმეწარმე გოჩა ხურცილავას მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმა • ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპს იმერეთის სახანძრო დაცვასთან
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, სველი წერტილით, რომელიც აღჭურვილია იმ ინვენტარითა და რესურსებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით, მაგ.: ტახტი, მაცივარი-საყინულე, მედიკამენტების შესანახი კარადა საკეტით, მაგიდა, სკამი, სასწორი, და ა.შ. სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს ექიმი და ექთანიც. ექიმს აქვს ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაცია. მან წარმოადგინა ბრძანების შესაბამისად წარმოებული ჟურნალები. სამედიცინო ოთახის აღჭურვილობას სჭირდება სრულად შევსება, რათა შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებასთან, სკოლის ექვსწლიან გეგმაში სკოლას პირველივე წელს განსაზღვრული აქვს ექიმის კაბინეტის შევსება დარჩენილი საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლა ზრუნავს სამედიცინო კაბინეტის, მისი რესურსებისა და ინვენტარის განახლებაზე. სკოლის დებულებაში განსაზღვრულია ექიმის პასუხისმგებლობები და მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ხელშეკრულებები ექიმთან და ექთანთან • სამედიცინო ოთახისთვის ინვენტარისა და მედიკამეტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განვითარების 6 - წლიანი გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტი ,,შპს სხივში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია“, <u>რომელიც არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.</u> ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად, სკოლამ გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წერილი დოკუმენტის შესათანხმებლად
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დატკიცებული ,,შპს სხივში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია“ • სკოლის დირექტორის №32 წერილი ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან • ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 874242 წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, კერძოდ, გარე პერიმეტრზე-9 ვიდეოთვალი (შემოსასვლელში 2, უკანა ეზოსა და სათადარიგო გასასვლელებთან 7), შიდა პერიმეტრზე: ბუფეტში, დერეფნებში, სააქტო დარბაზში, შემოსასვლელში, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	კონტროლდება, სულ 30 ვიდეოკამერით. კამერების გამოსახულებები აისახება დაცვის ოთახში მონიტორზე, რომელიც მდებარეობს შენობაში შესასვლელშივე. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის წევრთან. ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა ვიდეოთვალის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება, შესაბამისად, კამერების პარამეტრების დადგენა. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებს სკოლა ფლობს ჯერ კიდევ 2014 წლიდან, თუმცა ვიზიტის დროს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ხელშეკრულება დაცვასთან
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საქმიანობა ემყარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულ შემდეგ დოკუმენტებს: სკოლის დებულებას, სკოლის შინაგანაწესს, პედსაბჭოს დებულებას, კათედრის დებულებას, საქმისწარმოების წესს, ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებას, უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციას
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შემდეგი დოკუმენტები: სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი, პედსაბჭოს დებულება, კათედრის დებულება, საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება, უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია განვითარების ექვსწლიანი (2016-2022) და ერთწლიანი (2021-2022) გეგმები. ასევე სკოლამ წარმოადგინა 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ მომდევნო წლებში სკოლისთვის პრიორიტეტულია უკანა ეზოს მოწყობა, სადაც იქნება მწვანე სივრცე, გადახურული სივრცე ტენისისა და ჭადრაკის მაგიდებით, მოედანი. გეგმით ასევე გაწერილია სკოლის შენობაში ხელოვნების ოთახის მოწყობას, თუმცა ეს აღნიშნული არ იყო ექვსწლიან გეგმაში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ცვლილება შეიტანა გეგმაში, დაამატა აღნიშნული აქტივობები და გეგმის პროექტი ახალი ფორმატით წარმოადგინა, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი სკოლის 6 - წლიანი ხედვა, კერძოდ, დამატებულია სტრატეგიული მიზნები, წლების მიხედვით შესასრულებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განვითარების 6-წლიანი (2022-2028) გეგმის პროექტი • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი (2021-2022) გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, საკადრო და საერთო ბრძანებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, ხელშეკრულებების რეგისტრაცია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	აღრიცხვა. სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დალუქულია, ბეჭედდასმულია და აქვს დირექტორის ხელმოწერა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები, დანომრილი, თარიღის მითითებით, თუმცა ოქმები არ იყო გატარებული სარეგისტრაციო ჟურნალში, როგორც ეს სკოლის საქმისწარმოების წესშია აღნიშნული. ვიზიტის პერიოდში სკოლამ პედსაბჭოს ოქმებისთვის გააკეთა სარეგისტრაციო ჟურნალი წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს საქმის მწარმოებელი, რომლის მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ საქმისწარმოების ჟურნალებს, ,,შემთხვევითობის პრინციპით" შეარჩიეს და შეაფასეს ისინი. <u>სკოლაში საქმისწარმოება წესის მიხედვით მიმდინარეობს.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი • ბრძანებები და ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი • შემოსული კორესპონდენცია და შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი • გასული კორესპონდენცია და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი • ხელშეკრულებები და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი • პედსაბჭოს ოქმები და ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• სკოლამ საევაკუაციო გეგმები დაამზადებინოს უფლებამოსილ ორგანოს; • სკოლამ უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება, კამერების პარამეტრების დადგენა.
რჩევები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ხარვეზები:	• სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა უფლებამოსილი პირის მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმები. • სკოლამ დოკუმენტურად ვერ დაადასტურა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების საკუთრებაში ფლობა.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დებულება და საშტატო განრიგი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და თანამდებობას. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, სკოლის მართვას ახორციელებს დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. დებულების მიხედვით სკოლას ჰყავს სვა პერსონალიც: საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დამლაგებელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ექიმი, ექთანი, ბიბლიოთეკარი (ამ ეტაპზე გამოცხადებულია ვაკანსია), ფინანსური მენეჯერი, IT-მენეჯერი. სულ სკოლაში დასაქმებულია 43 ადამიანი. მათგან 31 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საამტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დებულება; • საშტატო განრიგი; • თანამშრომლების პირადი საქმეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	31
მაძიებელი	1
უფროსი მასწავლებლი	20
წამყვანი მასწავლებლი	3
სტატუსის არმქონე	7
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. 3 მასწავლებელს მინიჭებული აქვს წამყვანის სტატუსი, 20 უფროსი მასწავლებელია, 1 მაძიებელი მასწავლებელია და 7 მასწავლებელს არ აქვს სტატუსი. სკოლამ წარმოადგინა თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსების მასალები (ბრძანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები), რითაც დასტურდება, რომ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა სტატუსის მქონე მასწავლებლების მიღება. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პირადი საქმეები; • კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის 20-21, 31-38 მუხლებში განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები. დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროცესები სკოლაში წესის მიხედვით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რეკომენდაციით შინაგანაწესში შევიდა ცვლილება, კერძოდ, მასწავლებლის მიერ სკოლაში წარმოსადგენ დოკუმენტაციას დაემატა ზოგადი განათლების შესახებ კანონის 33[1] მუხლის მოთხოვნა: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობა. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ცნობები არ იქნებოდა მასწავლებელთა პირად საქმეებში. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნა გაითვალისწინოს და მასწავლებლებმა წარმოადგინონ აღნიშნული ცნობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • მასწავლებელთა პირადი საქმეები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები 2021-2022 სასწავლო წლისათვის. მათში არ იყო აღნიშნული მასწავლებლის სტატუსები და სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. ვიზიტის პერიოდში, სკოლას უკვე მომზადებული ჰქონდა ხელშეკრულებების პროექტები, რომლებშიც აღნიშნული იყო სტატუსები, წამყვანი მასწავლებელის სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები, სახელშეკრულებო ვადა, თანამდებობრივი განაკვეთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები • ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. • ხელშეკრულებების პროექტები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა 2021 წელს მასწავლებელთა სახლის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე სკოლის მასწავლებელთა მონაწილოების და 2022 წელს დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე სკოლას დადებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ერთ-ერთი პუნქტია: სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პერიოდული გადამზადების სისტემის დანერგვაში მხარდაჭერა. კათედრის ოქმებში ასახულია და ინტერვიუების დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრები მათთვის პროფესიული ზრდის შესაძლებლობაა, რადგან უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, იძენენ ცოდნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან • ტრენინგებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ტრენინგებზე დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ინტერვიუს შედეგები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების, დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცოდნისა და უნარების რეალიზებას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობების გადანაწილებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ძალიან ხშირია თანამშრომლობა როგორც კათედრის შიგნით და კათედრებს შორის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუირება • პედსაბჭოს, კათედრების ოქმები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

თბილისი 23 აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.